ჩონგური საქართველოა, სიმღერა ჩვენ ვართ ყველანი!

ᲩᲝᲜᲒᲣᲠᲘ

სენაკის მუნიციპალიტეტის თავისუფალი გაზეთი

2018 წელი №17 (9440) 1-15 სექტემბერი ფასი 40 თეთრი

17 სექტემბერი–ახალი სასწავლო წელი

სექტემბერი უჩვეულო და განსხვავებულია პირველკლასელებისათვის, პირველკურსელებისათვის.

პირველკლასელმა პირველად უნდა შედგას ფეხი ცოდნის სამყაროში. პირველკურსელებისთვის კი ახალი ცხოვრება იწყება : საინტერესო, სიახლეებით აღსავსე, მრავალმხრივი.

მუნიციპალიტეტის სკოლების კედლებს მოსწავლე–ახალგაზრდობის ქრიამული აკაცცხლებს, რეკავს ზარი სიხარულის და სიახლის მაცნედ.

ცოდნის ტაძრისკენ მიმავალი გზა რთულია, მონდომება, გამბლეობა და თავდაუზოგავი შრომა სჭირდება ამ გზის გავლას.

გზა დაგელოცოთ ძვირფასო მავშვებო, პირველკლასელებო! ახალი სასწავლო წლის დაწყებას ვულოცავთ ყველა პედაგოგს, სასკოლო თუ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების ხელმძღვანელს, მშობელს.

წარმატებული წელი დაგმედებოდეთ.

ჩვენ, სამშობლოს ღირსეული მომავლები გავხდებით

მაგდა ხორავა

მაგდა ხორავა 1 წლის წავიდა საბავშვო ბაღ „ბაბილინაში“. იცის ლექსები, საბავშვო მოთხრობები, სიამოვნებით უყურებს მულტფილმებს, საბავშვო გადაცემებს.

მაგდამ 5 წელი გაატარა საბავშვო ბაღში და მასწავლებლს თავი დაამახსოვრა ნიჭიერებით და სიბეჯითით. მაგდას უყვარს მეცადინეობა, არის ყურადღებიანი და მოწესრიგებული.

გოგონამ წარმატებით გაიარა გასაუბრება და სენაკის მართლმადიდებლურ სკოლა-გიმნაზიის პირველ კლასში ჩაირიცხა. მეორეკლასელია მაგდას ძმა სანდრო ხორავა. მაგდა მოუთმენლად ელის მასწავლებელთან სოფიკო ფაჩულიასთან შეხვედრას. გიმნაზიაში მაგდა ცოდნასთან ერთად აუცილებლად შეიძენს რელიგიური, კულტურული და ეროვნული ფასეულობების პატივისცემას.

მაგდას პირველ კლასში წასვლას ულოცავენ მშობლები სოფო ქვარცახვა და მამუკა ხორავა, ძმა სანდრო.

მილოცვას უერთდება გაზეთის რედაქცია. დაეპატარა ასულს კეთილად ახდენოდეს კეთილი ზღაპარი. გაიზრდოს სახელოვანი და ძლიერი, ესახელებინოს მშობლები და საქართველო.

ვახტანგ შენგელია

ვახტანგ შენგელია სენაკის №1 საჯარო სკოლის პირველ კლასში მიდის. ვახტანგს ტატიანა (მილორავა) მასწავლებელთან ერთად ელიან დაფაზე გამწკრივებული ასოები. თუმცა მოსამზადებელ განყოფილებაში მასწავლებელმა მედეა გვასალიამ ბიჭს შეასწავლა როგორც ანბანი, ასევე გონების საწვრთნელი სავარჯიშოები.

ვახუნა (ასე ეძახიან მოფერებით) კეთილი, თბილი, ყურადღებიანი, გონიერი ყმაწვილია. დედიკომ თამთა დანელიამ ადრეული ასაკიდან გამოუმუშავა მას მოკრძალება უფროსებისადმი.

ბებიკოს მაია იოსავას და დიდი ბებიას ციალა ყურაშვილის “ორთავ თვალი“, ბიძას თორნიკეს საფიცარი ვაჟკაცი ახლობლების, ოჯახის წევრების ყოველდღიურობას ახალისებს.

ვახტანგ შენგელიას დასაწყისი ეტაპისთვის საჭირო ცოდნა აქვს და სწამს, რომ სკოლაში უფრო სრულყოფილად წარმოაჩენს თავის შესაძლებლობებს.

ბებიები მაია და ციალა ულოცავენ ვახუნას სკოლაში წასვლას. მათ სჯერათ, რომ ვახტანგი გულმოწყალე, კეთილი, უფროსების და პედაგოგების პატივისმცემელი ვაჟკაცი დადგება.

რედაქცია ცოდნის გზაზე პირველი ნაბიჯების გადადგმას ულოცავს ვახტანგ შენგელიას, უსურვებს ბეჯით სწავლას, წარმატებებს, ბედნიერ ბავშვობას.

ანდრია ჯანაშია

ანდრია ჯანაშიამ ბაგა-ბაღში „ბარბარე“ შეისწავლა ლექსები, სიმღერები, გაეცნო მათემატიკურ მოქმედებებს. აქვს სხარტი გონება, მონდომებული და ინტერესიანია.

ანდრია სსიპ ქ. სენაკის საჯარო სკოლის პირველკლასელია. მასწავლებელი ნანა ადამია გულგახსნილი შეხვდება პატარებს. სკოლაში უკვე სხვა სამყარო იქნება. დაფაზე ლამაზი მრგვლოვანით გამოყვანილი ქართული ანბანი, ბაღთან შედარებით რთული მათემატიკური მოქმედებები, ბუნების, ხელოვნების, მუსიკის გაკვეთილები.

ანდრიას სკოლაში წასვლას ულოცავენ მშობლები ნანა ზესაშვილი და მერაბ ჯანაშია, ანდრია თავის მხრივ ახალი სასწავლო წლის დაწყებას ულოცავს ნანა მასწავლებელს, ყველა პირველკლასელს.

„ღმერთმა არ მოუშალოს პატარა ქართველს ცა მშვიდი და მზიანი“, გაიზარდოს სახელოვან ვაჟკაცად.

ალექსი წულეისკირი

ალექსი წულეისკირმა ალექსი შუშანიას სახელობის სენაკის მართლმადიდებლური გიმნაზიაში უნდა გადადგას პირველი ნაბიჯები დიდი ცოდნის მოსაპოვებელ გზაზე.

მან წმინდა ბარბარეს სახელობის ბაგა-ბაღში (გამგე თ. დარასელია) სწავლის პერიოდში გამოავლინა გონიერება და მიზანსწრაფულობა. ისწავლა ლექსები, ზღაპრები. უყვარს ცეკვა. კარგი ურთიერთობა აქვს თანატოლებთან.

ალექსი გიმნაზიაში სწავლისას გამოიჩენს ჩვეულ სიბეჯითეს და შრომისმოყვარეობას, ისწავლის სიყვარულს ღმრთისადმი, სიყვარულს მამულისადმი, სიყვარულს ტრადიციებისადმი და საუკეთესო მოქალაქედ აღიზრდება.

ხატია ეჯიბია და გიორგი წულეისკირი სკოლაში წასვლას ულოცავენ თავიანთ პირმშოს და მასთან ერთად ყველა პირველკლასელს. უსურვებენ უფლის წყალობას, წარმატებულ სწავლას, მშვიდობიან ზეცას.

ვატო გვარამია

ვატო წელს პირველად მიუჯდება სკოლის მერხს და პირველად განიცდის იმ დიდ ემოციასა და სიხარულს, რასაც პირველკლასელობა ჰქვია. იგი განსაკუთრებით ემზადება ამ დღისთვის, არჩევს სასკოლო ნივთებსა და სამოსს, რომელიც პირველ დღეს უნდა ჩაიცვას..

ვატო მოწესრიგებული, დინჯი, მახვილი გონების და სადი აზროვნების ბავშვია. იცის წერა, კითხვა, მათემატიკური მოქმედებანი. ყველაფერი ისწავლა საბავშვო ბაღ „ანამარიაში“, სადაც მისი მასწავლებელი იყო ინგა გულორდავა. უყვარს ფეხბურთი და კომპიუტერული თამაშები.

17 სექტემბერს ახალი ფურცელი გადაიშლება ვატოს ბიოგრაფიაში. სკოლა „მარიოტაში“ იგი პირველ და გაბედულ ნაბიჯებს გადადგამს ცოდნის მოსაპოვებელ გზაზე. ვატო სასკოლო საგნებთან ერთად სკოლაში შეისწავლის თანატოლების დაფასებას, უფროსების შეხედულებების და აზრების პატივისცემას.

მშობლები თეკო ბაქრაძე და გიგა გვარამია, ბებია და ბაბუა ირმა და ზაზა გვარამიები, დიდი ბებია და ბაბუა ნარგული და გრიგოლ გვარამიები ულოცავენ ვატოს სკოლაში წასვლას, უსურვებენ წარმატებებს, სიახლეებით აღსავსე დღეებს.

ჯონი ხაბურზანია

ჯონი ხაბურზანია მოუთმენლად ელოდება 17 სექტემბერს, დღეს როცა პირველად შეაღებს №1 საჯარო სკოლის კარებს და პირველკლასელებთან ერთად პირველად მიუჯდება სასწავლო მერხს, გაიცნობს თანატოლებს და მასწავლებელს. ეჩქარება დედაენის ჯადოსნურ სამყაროში მოხვედრა, მოსწავლის დატვირთული გრაფიკით ცხოვრება. ჯონი ნიჭიერი და მიზანდასახული ბიჭია. იცის ბევრი ლექსი, ზღაპარი, უყვარს ქართული მულტფილმები. უნდა დაიპყროს ცოდნის სამყარო, რომ ასახელოს მშობლები, ყველა ახლობელი, მათ შორის №6 საბავშვო ბაღი, სადაც მისი მასწავლებელი იყო ნინო კულუა.

დედა თამარ სიჭინავა, მამა ლევან ხაბურზანია ულოცავენ ჯონის, მის მეგობრებს, ყველა მის თანატოლს სასწავლო წლის დაწყებას, უსურვებენ წარმატებებს და ბედნიერ მომავალს.

ნიკო ლორთქიფანიძე

შეგირდი

მოწაფეები გულისყურით უსმენდნენ ახალგაზრდა მასწავლებელს. ყველაზე უფრო დაუდგრომელი ვანო საღიაშვილიც, მარცხენა ხელზე თავდაყრდნობილი, შესცქეროდა მასწავლებელს და სუფრაზე საჩვენებელი თითით ზოგჯერ თითქოს შენიშვნებს იწერდა; უმრავლესობას ხომ გადასაფრენ ბარტყებივით წაგრძელებოდათ თავ-კისერი.

-დაბრძანდით,-უთხრა ზემდგომ შეგირდს და მეორეს მიუბრუნდა:

-აბა განაგრძეთ.

შალვა მიქავა ადგა და გამოვიდა.

მკრთალი სახე და უფერული თვალები არ იამა მასწავლებელს.

ბავშვი თანაც ხმას არ იღებდა.

-...აი, ჩვენ დავხატეთ თათქარიძის გარეგანი სურათი, მეზობლური, ბატონყმური და ნათესაური განწყობილება თათქარიძისა, ახლა უნდა გადავიდეთ მის სულიერ არსებაზე, თუ რას წარმოადგენდა იგი, როგორც მოაზროვნე ადამიანი, თუ რა იყო უმთავრესი საგანი მისი აზროვნებისა

ყმაწვილი სდუმდა.

-რაზე ფიქრობდა უფრო ხშირად ლუარსაბი?-კიდევ მისცა მასწავლებელმა დამხმარე კითხვა.

მოწაფე სდუმდა და უფრო და უფრო ეკარგებოდა ფერი.

-ჭამაზე!-მოისმა აქა-იქ შეგირდებში.

-უკაცრავად!... თქვა ბავშვმა და თავის ადგილზე წავიდა. ცრემლები ერეოდა.

არ მოგისმენიათ ახსნა

შალვა ადგა და ისევ დაჯდა უქმოდ.

მასწავლებელმა ერთხელ კიდევ განმარტა ახალი განაკვეთის დებულებანი და კიდეც დარეკეს. შალვა დაეწია მასწავლებელს, რომელიც კლასის დამრიგებელიც იყო და სთხოვა, შინ გაეშვა.

-ერთი გაკვეთილიღა დარჩა

-მაინც გამიშვით... გთხოვთ.

-ავად ხართ?

-არა...

-მაშ როგორ შეიძლება?.. თქვენ აიცრუეთ გული სწავლაზე... დღეს კლასშიაც უყურადღებოდ იყავით...

ბავშვს, ეტყობოდა, სურდა რაღაც ეთქვა, და ერიდებოდა.

მასწავლებელმა მიმოიხედა:

ნუ დამიმალავთ-თქვით!

-სამი დღეა...თითქმის არაფერი გვიჭამია, -ბავშვს ცრემლი გადმოვარდა.

მასწავლებელმა ჯიბისკენ გასწია ხელი... შეჩერდა:

„რას ეყოფა ჩემი თხუთმეტი ათასი, თუნდაც რომ მივსცე, ოთხი ადამიანია ოჯახში"...

-მოითმინე, არ წახვიდე...

სამასწავლებლოში ცალ-ცალკე ელაპარაკებოდა მასწავლებლებს... ისმოდა:„ჩვენ რა შეგვიძლია... კარგი ბავშვია... კაცო, ერთი ყურუშიც არ მაქვს".. მაგრამ თითქმის ყველა იღებდა მცირე წვლილს, და მასწავლებელმა ძლიერ დარცხვენილ შალვას გადასცა ქაღალდის ფულის მსხვილი შეკვრა.

„გუშინ სადილის შემდეგ მეც არაფერი ჩამსვლია პირში"-მწარე ღიმილით ფიქრობდა მასწავლებელი,- „ვინმე დამპატიჟებდეს მაინც... კიდევ კარგი, რომ სარჩენი არავინ მყავს... ისევ სტუდენტურად-ერთ დღეს სადილი, ორ დღეს უჭმელობა..."

საჭირო შეგონებანი

*თუ მავშვს ხშირად სჯიან, შესაძლოა ამან სიძულვილი ასწავლოს.

*თუ მავშვი შეღლილა და ქიშპობის აცმოსფეროში ცხოვრობს, აგრესიული ხდება.

*თუ მავშვს დასცინიან, ის გულჩათხრობილი ხდება.

*თუ მავშვი შემწყნარებლობის აცმოსფეროში იზრდება, მოთმინებას სწავლობს.

*თუ მავშვს ამხნევებენ, საკუთარი თავის რწმენა უჩნდება.

*თუ მავშვს აქებენ, ის მადლიერებას სწავლობს.

*თუ მავშვი პაციოსან ადამიანთა გარემოში იზრდება სამართლიანობას სწავლობს.

*თუ მავშვი მშვიდად და უსაფრთხოდ ცხოვრობს, ადამიანებისადმი ნდობით იმსჭვალება.

დრო გარდასული



ეძღვნება მამის – ვიაჩესლავ (სლავა) გარუჩავას სხოვნას.

სანამ მამაზე საუბარს დავიწყებდე, წერილის შინაარსობრივი დატვირთვის გათვალისწინებით მინდა შევეხო დროის განზომილებას -- დრო ამოუცნობი ფენომენია, ის სხვადასხვა სივრცეში განსხვავებულად აღიქმება. მას გააჩნია რა ფარდობითი დატვირთვა, მრავალფეროვანია და მისი სიჩქარე ცივილიზაციის განვითარებასთან ერთად იცვლება. დროის ფარდობითობა დამოკიდებულია ადამიანის მოცემულ მდგომარეობაზე – განსაცდელში წამი წუთად აღიქმება, წუთი საათად და ა.შ. კიდევ პირიქით, სასიამოვნო გარემოში ახლობელ ადამიანებთან ყოფნით დროს ვერ გრძნობ და ის ქრება.

ჩემთვის და ჩემი ოჯახისთვის დროისა და სივრცის აღქმა შეცვალა მამის გარდაცვალებამ, რომლითაც დადგა ახალი ერა ჩვენს ცხოვრებაში, მისი ყოფა დროის უსასრულობაში იყო წამიერი გაელვება და ადგილი, რომელიც მას ეჭირა ამ უკიდეგანო სამყაროში, წარმოადგენდა უმნიშვნელო წერტილს.

1948 წელი, დაბადება, ყმაწვილკაცობა, სკოლა, სტუდენტობა, ოჯახის შექმნა, ოჯახთან გატარებული დროის მოკლე მონაკვეთი, რა სწრაფად ნათქვამი სიტყვებია.. მაგრამ ასეა, როგორც მოგახსენეთ წამია ეს ყველაფერი იმ უსასრულობასთან, რომელშიც ის შთაინთქა... და მაინც, დრო მამოგზაურებს წარსულში, მახსენებს იმ ჯადოსნურ წუთებს, რომელიც იყო და რომელიც უკან არასოდეს დაბრუნდება, მამისეული სახლი, მამაჩემის სახება, რომელიც ჩემს სულს ედება და მასზე დარდობს. მახსოვს იჯდა ის ოთახში აივანთან, გადაჰყურებდა ეზოს, ბაღს, მთას და როგორი სიყვარული ჰქონდა მათ მიმართ. ეძლეოდა ფიქრებს, უხაროდა ჩვენთან ერთად ყოფნა, საუბარი წარსულზე, აწმყოზე და განსაკუთრებულად მომავალზე. მან დაძლია დრო და სივრცე, მოერია მის უკუგებით ძალას, მან თავისი ცხოვრებით შეძლო მისი დამარცხება, ეჭიდებოდა მას, არ თმობდა, არ ყოვნდებოდა, წინ მიიწევდა, იყო პროგრესული, წვრილმანებით არ იტენიდა თავს. ვმეგობრობდით, ხშირად ვმსჯელობდით ყოფიერებაზე, ჩვენს არსზე, დანიშნულებაზე, არასოდეს არ ექცეოდა ჩარჩოში, საგანს არ აღიქვამდა მხოლოდ ერთი განზომილებით, განსჯისას იყო აზარტული, არ გახვევდა თავის მოსაზრებებს თავზე. ოჯახის კეთილდღეობისთვის არ ერიდებოდა სივრცეებს. რთულ გარემოებებს,. არ იყო ფლიდი, გააჩნდა რიდი, იყო ზომიერი, თავმდაბალი, გულმაგარი. თაობათაშორისი ხიდი ჩვენს შორის არ ჩანგრეულა, ფუნდამენტალურად არ იყო განწყობილი წარსულის მიმართ, მომავალს ფეხს უწყობდა, უყვარდა ჩემს მეგობრებთან საუბარი, მათი მოსაზრებების მოსმენა, მამათა და შვილთა ომი მასზე არ აისახა.

არ მინდა სუბიექტურობაში ჩამითვალოს მავანმა, ვინაიდან შვილი ვარ და ნათესაური დამოკიდებულება მაინც ჩარჩოში მაქცევს, ამიტომ ვწყვეტ ჩემს მოკლე ჩანახატს რითაც დავიწყე – მისმა გარდაცვალებამ დაგვაყენა იმ ეკალ-ბარდებზე, რომლითაც დრო მიიზლაზნება და დღეს გვიჭირს მისი დაძლევა.

გიორგი გარუჩავა

ლიტერატურული ჩაინვორდი



1. ლიტერატურის ჟანრი, 2. გ. ფანჯიკიძის რომან „თვალი პატიოსანის" პერსონაჟი 3. რუსი პოეტი, 4. სიმღერა ... 5. „სამშობლო ხევსურისა" ავტორი, 6. „ვისრამინიანის" პერსონაჟი, 7. პაოლო ..., 8. .... ჭავჭავაძე, 9. ფ. კუპერის რომანი, 10. ძველი ბერძენი მწერალი 11. დონ-კიხოტის ცხენი, 12. ... ტაბიძე, 13. ეგნატე ... .14. ... სტურუა, 15. ი. ჭავჭავაძის პოემა, 16. მწერალი პავლე ...., 17. პ.კაკაბაძის პიესა .....თუთაბერი, 18. მიმდინარეობა ლიტერატურაში, 19. ბერძნული .... 20. ყვავილი 21. ... ბარათაშვილი, 22. მეცნიერი მიხეილ ..., 23. იაკინთე .... 24. ვაჟა-ფშაველას მოთხრობა 25. ...მირცხულავა, 26....ჭილაძე, 27. ... ვნახე დაჭრილი

შეადგინა მაია გერგაიამ.

სარედაქციო კოლეგია
მთავარი რედაქტორი: ნინო სართანია
რედაქტორი: მედეა ბაღათურია
კორესპონდენტები: მაია ბერბაია, მარიკა მიქაბერიძე
ეკონომიკური სამსახურის სპეციალისტი შულიეტა ჩაჩიბაია

რედაქციის მისამართი:
სენაკი, ჭავჭავაძის ქ. №103 ტელ: 27 61 50
რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით, არ გამოხატავს პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ინტერესებს
ინდექსი 66529

რეგისტრირებულია სენაკის სასამართლოში
რეგისტრაციის № 56/7-17
გაზეთი კომპიუტერზე მომზადდა და ოფსეტური წესით დაიბეჭდა ქ.ფოთში შპს „ირიდა„-ს სტამბაში
ქ.ფოთი წმ.ნინოს №4
ტელ: 0 (493) 22 24 33

სკოლა, სიახლეები, მომავლის პერსპექტივები

ყოველი ახალი სასწავლო წელი ახალი შემართებით, ახალი ინიციატივებით და მიზნებით იწყება. თუ როგორ ხვდებიან სენაკის მუნიციპალიტეტის სასწავლო დაწესებულებები, სკოლები 2018-2019 სასწავლო წელს. ინფორმაციას გვაწვდის საგანმანათლებლო რესურსცენტრის დირექტორი ქალბატონი დარეჯან ზარანდია.

სენაკის საგანმანათლებლო რესურსცენტრის სამოქმედო ტერიტორიაზე არსებობს 26 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება: 20 საჯარო და 6 კერძო სკოლა. ყველა საჯარო სკოლაში ახალი სასწავლო წელი იწყება 17 სექტემბერს.

ახალი სასწავლო წლისთვის მზადება აქტიურ ფაზაშია, 1-6 კლასის მოსწავლეები მიიღებენ ახალ სახელმძღვანელოებს. საჯარო სკოლებში ძირითადად დასრულდა არსებული სახელმძღვანელოების დახარისხება, მაღალი ქულებით შეფასებული წიგნები ახალი წიგნებით შეივსება და სასწავლო წლის დაწყებასთან ერთად, საჯარო სკოლების ყველა მოსწავლე სახელმძღვანელოების სრულ პაკეტს მიიღებს. ყველა პირველკლასელი, რომელთა რაოდენობა საჯარო სკოლებში არის 362, სასწავლო წლის დაწყებამდე მიიღებს ნეთბუქებს,2018–2019 სასწავლო წლის საბაზო საფეხურის 42 წარჩინებული კურსდამთავრებული უახლოეს მომავალში სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის სააგენტოდან მიიღებს პორტაბელურ კომპიუტერებს, ხოლო საშუალო საფეხურის 45 წარჩინებული კურსდამთავრებული—ოქროსა და ვერცხლის მედლებს,20 საჯარო სკოლიდან 18 საჯარო სკოლის მოსწავლეს, მათი მოთხოვნის საფუძველზე, ემსახურება ტრანსპორტი, რომელსაც სრულად დააფინანსებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო,

სენაკის საჯარო სკოლებში სწავლობს 70 სსსმ მოსწავლე, რომლებთანაც სწავლა მიმდინარეობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით, სსსმ მოსწავლეების განათლების მიღებაზე ზრუნავენ კონკურსის წესით შერჩეული კვალიფიციური კადრები – სპეცმასწავლებლები, რომლებსაც პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსი მიენიჭათ.

სენაკის საჯარო სკოლის ხუთ სკოლაში: 1, 7 და ნოქალაქევის, ძველი სენაკისა და ნოსირის საჯარო სკოლებში ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტები საჭირო სამედიცინო ინვენტარითა და მედიკამენტებით უზრუნველყოფილი, ჰყავთ კვალიფიციური სკოლის ექიმებიც.

რაც შეეხება საჯარო სკოლების ინფრასტუქტურულ მდგომარეობას, თითქმის ყველა საჯარო სკოლა ნაწილობრივ რეაბილიტირებულია, სარემოტო სამუშაოები ჩატარდა შემდეგ სკოლებში: სსიპ ქალაქ სენაკის 1 საჯარო სკოლა; სსიპ ქალაქ სენაკის №2 სკოლაში,სოფლების: ეკის,თეკლათის,ხორშის, ქვემო ფოცხოს, უშაფათის, გეჯეთის გიორგი ჭალადიდელის სახელობის ზემო ჭალადიდის საჯარო სკოლებში.

ჩვენი სკოლის 50-მდე მოსწავლემ შეძლო დასვენება ანაკლიის, კაჭრეთის, წყნეთისა, სალიბაურისა და მანავის საზაფხულო ბანაკებში.

საგანმანათლებლო რესურსცენტრი ახალი სასწავლო წლის დაწყებას ულოცავს პედაგოგებს, მოსწავლეებს, მშობლებს. უსურვებს ნაყოფიერ და წარმატებულ წელს.

მუნიციპალიტეტის მერიაში

აზიური ფაროსანას შეწამლვითი სამუშაოები გრძელდება

სენაკის მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს აზიური ფაროსანას საწინააღმდეგო შეწამლვითი სამუშაოები. შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლები, ქალაქის ტერიტორიაზე და ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში, ამონტაჟებენ ფერომონებს, რომელთა საშუალებით ხდება მავნებლის მოზიდვა. ფერომონების დამონტაჟების შემდეგ, განხორციელდება მონიტორინგი, რის საფუძველზეც დაიწყება შეწამლვითი სამუშაოები.

საინფორმაციო ხასიათის შეხვედრა მოსახლეობასთან

სენაკის მუნიციპალიტეტში აზიური ფაროსანას საწინააღმდეგო ღონისძიებები ინტენსიურად მიმდინარეობს. მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე გრიგოლ ბაღათურია, სურსათის ეროვნული სააგენტოს რისკებზე რეაგირების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, აზიური ფაროსანას შტაბის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ლევან თოლორდავა, მერიის შესაბამისი სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულებში იმყოფებოდნენ და ადგილობრივ მოსახლეობასთან მართავდნენ შეხვედრებს. შეხვედრებზე განიხილეს ფაროსანას წინააღმდეგ სახელმწიფო სტრატეგიის

ფარგლებში განხორციელებული სამუშაოების შედეგები და ისაუბრეს წამლობის სამომავლო გეგმების შესახებ, რომელიც ეტაპობრივად განხორციელდება. აზიური ფაროსანას წინააღმდეგ შეწამლვითი სამუშაოები ოქტომბრის ბოლომდე გაგრძელდება. აღსანიშნავია, რომ ფერომონების განთავსებამ კარგი შედეგები მოიტანა, თხილის და სიმინდის მოსავალი ფაქტობრივად გადარჩენილია. ამ ეტაპზე, მიმდინარეობს ბრძოლა საკარმიდამო ნაკვეთების გადასარჩენად. შეხვედრებზე, რომელიც ინტერაქტიურ რეჟიმში წარიმართა, მოსახლეობას დაურიგდა ბუკლეტები გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მოწოდებული რეკომენდაციებით, რომელიც გასათვალისწინებელია აზიური ფაროსანას მიერ გამოწვეული ზიანის შესამცირებლად. ასევე, აღინიშნა ინფორმირებულობის გაზრდისა და ცნობიერების ამაღლების პრიორიტეტულობა,მავნებელთან ეფექტური ბრძოლისთვის მოსახლეობის ჩართულობის დიდი მნიშვნელობა, რომლის პარალელურად სახელმწიფოს მხრიდან ეტაპობრივად ხორციელდება მასშტაბური ღონისძიებები.ა

გაიღე სისხლი სიცოცხლის გადასარჩენად

ქალაქ სენაკში, შპს „სისხლის გადასხმის საქალაქო სადგური"-ს (სისხლის ბანკი) ინიციატივითა და სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, გაიმართა სისხლის უანგარო დონორთა აქცია - „გაიღე სისხლი სიცოცხლის გადასარჩენად". დონორთა ნებაყოფლობით აქციაში მონაწილეობდნენ სენაკის მუნიციპალიტეტის მერიისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების თანამშრომლები, რომლებმაც ნებაყოფლობით, უანგაროდ გასცეს სისხლი ადამიანების სიცოცხლის გადასარჩენად. სისხლის გადასხმის პროცესს მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე გრიგოლ ბაღათურია ესწრებოდა, რომელმაც მადლობა გადაუხადა დონორთა ჰუმანური აქციის ორგანიზატორებს. სისხლისა და სისხლის პროდუქტების გადასხმა უზრუნველყოფს მრავალი ადამიანის სიცოცხლის გადარჩენას, პაციენტებს ეხმარება სიცოცხლის გახანგრძლივებისა და ხარისხის გაუმჯობესებაში, რთული სამედიცინო პროცედურებისა და ქირურგიული ოპერაციების წარმატებით განხორციელებაში.

ფერების ფესტივალი სენაკში

ქალაქ სენაკში, სენაკის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის ორგანიზებითა და მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, პროექტ Check in Georgia-ს ფარგლებში, მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური სახალისო და გასართობი აქცია ფერების ფესტივალი ჩატარდა. ახალგაზრდულ პარკში, სხვადასხვა ღონისძიებები 16:00 საათიდან დაიწყო. ჩატარდა სპორტული აქტივობები, მოხალისეებს მხიარული ანიმატორები ართობდნენ. ღონისძიებას მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე გრიგოლ ბაღათურია და თვითმმართველობის სხვა წარმომადგენლები ესწრებოდნენ. ყველაზე ფერად ფესტივალზე დასწრება ნებისმიერ მსურველს შეეძლო. მონაწილეები ერთმანეთს ფერადი ფხვნილებითა და საღებავებით აფერადებდნენ. ივენთს უძღვებოდა დიჯეი გიორგი თოდაძე. დღე ულამაზესი ფოიერვერკით დასრულდა.

„ძლიერი სამოქალაქო საზოგადოება ეფექტიანი მმართველობისთვის"

11 სექტემბერს პროექტის „ძლიერი სამოქალაქო საზოგადოება ეფექტიანი მმართველობისთვის" ფარგლებში „საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის" თავმჯდომარემ ნინო შატბერაშვილმა, სოციალურმა მუშაკებმა ცაბუნია ვართაგავამ და ნელი აკობიამ, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლებთან, ადგილობრივ სოციალურ მუშაკებთან და არასამთავრობო სექტორთან შეხვედრა გამართეს. შეხვედრაზე წარმომადგენლებმა მონაწილეებს გააცნეს პროექტის ფარგლებში სენაკისა და აბაშის მუნიციპალიტეტებში ჩატარებული კვლევების შედეგები. კვლევები მოიცავდა მუნიციპალიტეტებში არსებული სოციალური მომსახურებების შეფასებას და აღნიშნული მომსახურებების ზეგავლენის ანალიზს. შეხვედრაზე ასევე გაეცნენ პროგრამის ექსპერტების მიერ მომზადებულ მასალას „საჭიროებებზე დაფუძნებული პოლიტიკის მიმოხილვა" და „საუკეთესო მუნიციპალური მომსახურებების მიწოდების პრაქტიკის მიმოხილვა." პროექტს „ძლიერი სამოქალაქო საზოგადოება ეფექტიანი მმართველობისთვის" ახორციელებს ჭორლდ Vისიონ საქართველო, საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციისა და საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციასთან ერთად, ევროკავშირის მხარდაჭერით, საქართველოს 6 რეგიონის 13 მუნიციპალიტეტში. მათ შორის პროექტი ხორციელდება სამეგრელოს რეგიონში სენაკისა და აბაშის მუნიციპალიტეტებში.

მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებასთან
ურთიერთობის და საინფორმაციო უზრუნველყოფის სამსახური

„ზღაპრული კოშკი“ – `TEPEMOK“ ახალ სასწავლო წელს გილოცავთ

სენაკის ქართულ-რუსულ არასახელმწიფო საბავშვო ბაღი „ზღაპრული კოშკი“ -- „TEPEMOK“-ი თავისი არსებობის თითქმის ორ ათეულ წელს ითვლის.

ახალი სასწავლო წელს განახლებული პირობებით, მოწესრიგებული ინფრასტრუქტურით, საზეიმოდ მორთული შეხვდა საბავშვო ბაღი. დამონტაჟდა შენობის გამაგრილებელ-გამათბობელი სისტემა, ბაღი შეივსო ახალი ინვენტარით.

ბაღში აღსაზრდელები დაყოფილია ასაკობრივ ჯგუფებად, რომელთა სწავლა-აღზრდა ხდება ფსიქოლოგებისა და პროფესორ-მასწავლებლების მიერ შემუშავებული პროგრამებით. სკოლამდელი ასაკი ბავშვის განვითარების ციკლის უმნიშვნელოვანეს პერიოდს წარმოადგენს. ბაღში ყველა პირობაა შექმნილი და იმ ძირითადი უნარების ჩამოსაყალიბებლად, რომელთაც შემდგომში ბავშვი გამოიყენებს როგორც სკოლაში, ასევე მთელი ცხოვრების მანძილზე.

მშობლიური ენის დაუფლება ხდება სკოლამდელ ასაკში. პედაგოგების ძალისხმევით ბავშვის მეტყველება ვითარდება თამაშის, მხატვრული კითხვისას. მშობლიურ ენასთან ერთად აღსაზრდელები სწავლობენ რუსულ და ინგლისურ ენებს, ძირითადად თამაშით, ზღაპრების კითხვით და სიმღერების შესწავლით, თვალსაჩინო და დიდაქტიკური მასალების გამოყენებით. დაგეგმილია გერმანული ენის სწავლების შემოღება მშობლების სურვილის გათვალისწინებით.

„ზღაპრული კოშკი“ გამორჩეულია თავისი ადგილმდებარეობით და გამწვანებით. ეზოს ტერიტორიაზე განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სათამაშო გასართობ და სპორტული აქტივობების ჩატარების ღონისძიებებს. ახლო მომავალში დაგეგმილია სპორტული და სათამაშო მოედნის კეთილმოწყობა.

ეზოში მოწყობილია წონასწორობის განმავითარებელი საშუალებები. ბუნების გაცნობა მცენარეებზე, ბუნებრივ მოვლენებზე, ცოცხალ და არაცოცხალ ბუნებაზე ხდება ბაღის ტერიტორიაზე. აღსაზრდელები ეჩვევიან მათზე ზრუნვას, უვლიან ოთახის მცენარეებს. სათამაშოები ბუნებრივი მასალისაა: ხის ნაჭრები, კენჭები, გირჩები, ნიჟარები, ასაწყობი დიდაქტიკური მასალები, რაც უსაფრთხოა ბავშვებისათვის, აგრეთვე კუბურები კონსტრუქციული ინტელექტის განვითარებისთვის.

ბაღის გარემო იძლევა მდიდარი ფანტაზიის გამოვლენისა და განვითარების საშუალებას: როლური, ჯგუფური და ინდივიდუალური თამაშებისათვის ჯგუფებში არსებული ავეჯი იძლევა იმის შესაძლებლობებს, რომ ბავშვმა კომფორტულად და უსაფრთხოდ იგრძნოს თავი. აღსაზრდელები იღებენ პასუხისმგებლობას საკუთარი მოხმარების ნივთებზე და სათამაშოებზე მოვლის ჩვევის განსავითარებლად.

ბაღში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მუსიკას, ქორეოგრაფიას, სახვით ხელოვნებას და ძერწვას. ხატვა და ძერწვა ბავშვს ეხმარება თვალისა და ხელის შეთანხმებული მოქმედების დაუფლებაში. ბავშვში სიხარულის უნარის გამომუშავებას ემსახურება საერო და რელიგიური დღესასწაულების აღნიშვნა, რომელსაც თან ახლავს საყვარელი ზღაპრული პერსონაჟების განსახიერება.

„ზღაპრული კოშკის“ ხელმძღვანელია გამოცდილი პედაგოგი ლუდმილა ნაჭყებია. აღმზრდელ-მასწავლებლები: თეა ჭანტურია, ნათია ბაბუაძე. მუსიკალური ხელმძღვანელი – ნათია ბუკია. ქორეოგრაფი – გიგა ბუკია.

ბაღში შექმნილია ყველა პირობა აღსაზრდელთა ფიზიკური, გონებრივი, ზნეობრივი და სულიერი განვითარებისთვის.

ბაღის ხელმძღვანელი, პედაგოგები, აღსაზრდელები ახალი სასწავლო წლის დაწყებას ულოცავენ მუნიციპალიტეტის პედაგოგიურ საზოგადოებას. , უსურვებენ წარმატებულ და ნაყოფიერ სასწავლო წელს.

მარიკა მიქაბერიძე

საყვარელო მერი მასწავლებელო!

ადამიანების ცხოვრების მრავალგვარი კლასიფიკაცია შეიძლება იყოს მართებული, გამომდინარე შემთხვევის თავისებურებიდან. მაგრამ ჩემთვის პირადად გარემო ძირითადად ორ პოლუსზე ნაწილდება, ორ სფეროდ იყოფა:

1.-ეს არის ხანგრძლივი ფიქრის, დაძაბული გონებრივი მუშაობის, ჭეშმარიტების ძიების, დამქანცველი შრომის წუთები.

2.-შედეგი, ნაყოფი აზრობრივი მუშაობისა, წუთები, როდესაც უკვე შეძენილ ცოდნასა და გამოცდილებას ეფექტურად იყენებ ინტელექტის ლაბირინთებში უდიდესი სიამოვნების მომგვრელი მოგზაურობების დასაფინანსებლად.

პავლეს თქმისა არ იყოს „გონების სრულქმნას“ ანუ მუშაობის საკუთარი გონებრივი პოტენციალის გასაზრდელად, დიადი საზღაური ელის. შენს წინაშე იხსნება ინტელექტის უსარულო სამყარო, სადაც თავისუფლად და მიზანმიმართულად გადაადგილდები კრიტიკული აზროვნების წყალობით.

სამყაროში ყველაფერს ფონი სჭირდება, ჩამოყალიბების ბაზა, გარემომცველი და მასაზრდოებელი პირობები. მათ შორის რა თქმა უნდა ინტელექტსაც. მისი განვითარება და სასურველ სიმაღლეებამდე მიღწევა, მის საარსებო გარემოცვაზეა დამოკიდებული. საარსებო გარემოს კი ადამიანები ქმნიან, უფრო სწორად, ის ადამიანები, რომელთაც ესმით, რომ ინტელექტის განვითარებისათვის სასათბურე პირობების შექმნა პიროვნების კეთილი ნებასა და სინდისზეა დამოკიდებული. არავითარ გადაჭარბებას არ ექნება ადგილი, თუ ინტელექტის მასაზრდოებელი და მასტიმულირებელი გარემოს დომინანტ ფიგურად მერი მასწავლებელს მივიჩნევთ.

მის თითოეული ქმედება, თითოეული სიტყვა დაუღალავი სულის შებერვაა სწავლისმოყვარე ახალგაზრდის გონებაში არსებული ნაპერწკლისადმი, რათა პიროვნებაში მეცნიერების წმინდათა-წმინდა ცეცხლი აღანთოს. ჩემს გონებაში დღემდე ცხადად ინახება იმ წუთების მოგონება, როდესაც მერი მასწავლებელთან გასაქანი ეძლევა ჩემს ბავშვურ „მეცნიერობანას”. იგი გულსხმიერი პიროვნებაა, ნათლად განსჭვრეტს მომავალ დიდ მეცნიერს ჯერ კიდევ პატარა თესლში. მას ახარებს თითოეული შესაძლებლობა, უნარი თუ თვისება, რაც ადამიანს განასხვავებს ცხოველური სამყაროსაგან და ღვთის მსგავსებას ასახავს.

მერი მასწავლებელი ცოცხალი მატიანეა იმ ღირსებისა, რაც ჩვენს ერს საუკუნეების მანძილზე გამოუმუშავებია.

მე პირადად, ჩემი პიროვნებების ჩამოყალიბებაში მერი მასწავლებლის პერსონას წარმმართველად და განსაზღვრულ ნიშნულამდე ბიძგის მიმცემად მივიჩნევ.

ის ნიშნული კი სადაც ეს პიროვნება მის მოსწავლეებს უბიძგებს არის ჰუმანურობა, პატრიოტიზმი და ცოდნით გასხივოსნებული სიყვარული,

სწორედ ცოდნით განსხვავებულმა სიყვარულმა წარმოშვა სამყარო სიყვარულისა და ცოდნის კავშირი სიყვარულთან ყველაზე ძლიერი კომბინაციაა. ვინაიდან სწორედ მათმა ერთობამ მოგვცა მშვენიერებისა და სრულქმნილების სამყარო. მერი მასწავლებელი კი მისი ქმედებით, მისი ბრძნული შეგონებებით, ჩვენს პიროვნებაში არსებულ სიყვარულსა და ცოდნას უბიძგებს სრულყოფილებისაკენ.

ამ ორი საწყისის შეკავშირება კი იწვევს ჭეშმარიტების სულის შობას. რითაც ჩვენს პიროვნებას სამშობლოსა და კაცობრიობის განვითარებისათვის საბრძოლველად განამზადებს.

მადლი უფალს მერი მასწავლებელო, რომ 83 წლისა ისევ შემართულად უძღვები ამ რთულსა და საპატიო მისიას, დღეგრძელი იყავ ჩემო საყვარელო მასწავლებელო!

ბექა ჭიჭინაძე
ყოფილი მოსწავლე

ვინ მიხვდება?!

ასაკოვანნო და ახალგაზრდანო, გვინდა ჟამიდან ჟამზე მოგაწოდოთ ტექსტებიდან ისეთი ამონარიდები, კითხვის დასმის საშუალებას რომ იძლევა, თქვენ კი გთხოვთ დაფიქსირებას და გამოტოვებული ადგილის შევსებას. აგრეთვე, გამოცნობას საიდან არის ამოღებული ამონარიდი. ჯერი თქვენზეა.

„ღამის 12 საათმა რომ დაჰკრა, გაიღო კარი და შემოვიდა სასადილოში „ივერიის“ ასოთამწყობთა დეპუტაცია,მათ თან მოიტანეს,ის-ის არის ახლად დაბეჭდილი „ივერიის“ საახალწლო ნომერი მიართვეს ილიას და თეფშზე დალაგებული ღვინით სავსე ჭიქებით, მუშა-ასოთ ამწყობთა მინდობილობით, ადღეგრძელეს ჩვენი დიდი მწერალი. ილიამ ხელახლად გაავსო მოტანილი ჭიქები და თვითონაც ადღეგრძელა ტკბილი და თბილი სიტყვებით სტამბის მუშები.

სუფრის თამადა ჩვენი დაუვიწყარი რაფიელ ერისთავი იყო, ილია მივიდა მასთან ალავერდით. მხცოვანმა მგოსანმა თამადამ მოითხოვა ვერცხლის თასი, შიგ ჩადო .....

და ზედ წითელი ყვარლის ღვინო დაასხა. მშვენიერი და ოხუნჯური სიტყვა წარმოსთქვა ტოლუმბაშმა. თასი ჩამოგვიტარა ყველას თითოეულს ისე დაგვალევინა, თითქოს ზიარების გვაწვდიდაო.

–რა ჩადო ტოლუმბაშმა თასში?

p.s. პასუხი შეიძლება გამოგვიგზავნოთ მოკლე ტექსტური შეტყობინებით გაზეთ „კოლხეთის” ფეისბუკ გვერდზე: kolxeti.gazeti@mail.ru

გზა დავულოცოთ!...

დაამთავრა სენაკის კერძო სკოლა „მარიოტა“ (4 ასპროცენტიანი გრანტის მფლობელი რომ ჰყავს), დააჯილდოვეს ოქროს მედლით. ეროვნულ გამოცდებზე 100% -იანი გრანტი მოიპოვა და ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისისა სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. ამ სასწავლებლს მისთვის ბევრი მიზეზით ჰქონდა განსაკუთრებული დატვირთვა. 88 წლის ვაჟა ბაბუამაც სთხოვა (ისიც ამ „სახალხო ტაძრის“ კურსდამთავრებულია), აქ ჩაებარებინა.

დედა – მაია პაპასკირი პროფესიით ბიოლოგია, განათლებული, გონიერი ქალი. მოწესრიგებულიც და სიცილიანიც. კარგი კულინარია.

მამა – თენგიზ ხარბედია თბილისის ფიზკულტურის ინსტიტუტის კურსდამთავრებულია, გამოირჩევა სპორტსმენისათვის დამახასიათებელი რაინდობითა და კეთილშობილებით, უყვარს პოეზია და მოყვასისადმი საოცრად ერთგულია.

... ბიჭს უტა ჰქვია. გარეგნობით „21-ე საუკუნეა“, სულით-პატრიოტი და რომანტიკოსი, რაც ნაკლებად ეტყობა. შინ გაუცინარია, მეგობრებთან – უფრო წარბგახსნილი და გულღია. „სულის კარებს“ იშვიათად აღებს. არ არის შეყვარებული, მაგრამ ეროვნულ გამოცდებზე მაინც სიყვარულის თემა აირჩია. წერს ლექსებს.

უტა ხარბედიას ორი ძალიან საყვარელი, გონიერი და სასაცილო პატარა და ჰყავს: მართა და მარიამი.

გზა დავულოცოთ!...

ნანა ფაჩულია

ლექსები

აქ ახლა

სიძულვილი
აპათია –
საფანტია.
აქ ყოველი
ფიქრი სხვისი
კარნახია,
აქ ლაჩარი
და სულელი
ამაყია,
ნარკომანი
და „გასული“
„მაბარია“
ადრე სისხლღვრით,
ახლა სისხლში
სიკვდილია...
ახლა ტვინში
ნაოჭიც კი
სირცხვილია!...
თავის მონა
და პირუტყვი
უფალია(?!)
ჰიპოკრატეს დილეტანტი
მკურნალია!...
ახლა წმინდა
და სპეტაკი
ნაკლებია...
სად მივდივართ!...
რა მოგველის?!---
ნათელია..

***

ვიდვიძებ, მაგრამ მინდება ძილი,
ირგვლივ სევდაა მიმოფენილი.
შემოვიხვიე მანტია შავი,
სული ბობოქრობს არ ცხრება ქარი.
რად არ ისვენებს ფიქრი ბოროტი?
გათლილი ტარო, ცოცხალი ტოტი.
ირგვლივ კი მიდის ყოველი მშვიდად,
გული ქარიშხალს არ შეშინდა,
ინათა, თვალს მჭრის გვირაბის ბოლო,
ჩემი ფიქრი კი ერთია მხოლოდ:
მაინც რა მელის, ვემზადო რისთვის?
მელა მხვდა წილად თუ ვიბრძვი მგლისთვის?
გარბიან წლები, ქრის დრო და ქამი,
ნიავს მილეულს სდევს ქარიშხალი.
ბორბალს ბედისას მოვმართავ ჩემკენ,
რევოლუცია! – ულექსოდ ვერ ვძლებ...
მიწევს ვატარო გოლგოთის ჯვარი,
გზა კი შორია და ნისლიანი...
ტალახი მელის, ანაც – დიდება,
ფიქრთა თქმა მხოლოდ ლექსად მინდება...

******

ბევრია ვიცი, ფარსი და ცუდი,
მაგრამ ბევრშია ჭეშმარიტება.
იუდა არის ბოროტი სული,
მაგრამ იუდას შველა სჭირდება.
იუდას მსგავსად, მინახავს ბევრი
როგორ ღალატობს, როგორ იპარავს...
იუდა სულით ყოფილა შლები,
მაგრამ იუდას ბევრი მიბაძავს.
აღვავლენთ ათას წირვას და ლოცვას,
ავანთებთ ათას გიგანტურ სანთელს.
იცოდეთ უფალს ვერ მოისყიდით,
ვედარც სრულიად გაწმინდავთ სახელს

პაემანი მუზასთან

თენდება ... ჩამოირეცხა ღამე.
უკუნი გაჰქცა ნიავს და თაბახს.
და როგორ შევკრთი რომ დაგინახე!
ამნაირ გრძნობას ვერავინ მალავს.
ეს რაღაც სხვაა. შეხვედრას არ ჰგავს.
ვერც განშორებას, შორეულს ვიტან.
როს დაბრუნდები ცხოვრება იცდის.
გულს შურიანი ფიქრებით ტვირთავს.
ახლა გადადის ღამე,
ახლა დგებიან სხვები,
ახალ გუნების ზეიმს
ვაკვირდები და ... ვკვდები
ლექსის ტანჯული წვეთი
მოდის და მოჰქავს ტკივილს.
აქ დაილია სისხლი, --
აქ მხოლოდ ლექსი იბრძვის.
ახლა წვიმს,
ალგათ დატოვებს ტალახს.
ვიღაც თრთის,
ვიღაც ოცნებას მალავს
მე კი ვწერ,
როცა კვდებიან სხვები.
ვეწამე...
და ამ წამებით ვტკბები.

უტა ხარბედია

„ცოდნა სწავლით მოიპოვების“

ტატო ალანია

ტატო ალანია კერძო სკოლა „მარიოტას“(დირექტორი ნ. კუპრეიშვილი) მე-9 კლასის წარჩინებული მოსწავლეა. უყვარს წიგნზე მუშაობა. ტატო მტკიცე, მიზანდასახული მოსწავლეა. მას კარგად აქვს გაცნობიერებული, რომ წარმატების მიღწევა დაუღალავი მეცადინეობით შეიძლება.

ტატო აქტიურად მონაწილეობს შიდა სასკოლო და რესპუბლიკურ ოლიმპიადებში. დაჯილდოებულია სიგელებით, სერთიფიკატებით

2018 წელს ტატო ალანიამ გაიმარჯვა „კინგსის“ ქართული ენის რესპუბლიკურ ოლიმპიადაში. დაჯილდოვდა სიგელით და ანაკლიის ბანაკის საგზურით. ტატოს წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვის გამოცდილ პედაგოგს ლია ადამიას.

ტატოს უყვარს თანატოლები, პატივს სცემს პედაგოგებს. მშობლებთან ერთად გაზეთ „კოლხეთის“ რედაქცია ტატო ალანიას ულოცავს ახალი სასწავლო წლის დაწყებას, უსურვებს წარმატებებს.

არ მოკლებოდეს მის გზა-სავალს უფლის წყალობა და ახლობლების ლოცვა-კურთხევა.

სურათზე: ტატო ალანია მარჯვიდან მეორე

ცოტნე ეჯიბია

ცოტნე ეჯიბია სენაკის № 1 საჯარო სკოლის IXბ კლასის წარჩინებული მოსწავლეა(დირექტორი ნ. გოგელიძე, დამრიგებელი ქ. ძაგანია). იგი ერთნაირ მიდრეკილებას იჩენს ყველა სასწავლო დისციპლინისადმი.

ცოტნე ყოველწლიურად მონაწილეობს როგორც შიდასასკოლო, ასევე რესპუბლიკურ საგანმანათლებლო პროექტების „კინგსის“,„სმარტის“. „ევერესტის“ ოლიმპიადებში მათემატიკაში, ინგლისურ ენაში, ქართულ ენაში.

2017 წელს გახდა ქართული ენის რესპუბლიკური ფესტივალის გამარჯვებული, მიენიჭა „კეთილი ნების ელჩის“ ტიტული, სხვადასხვა წლების კონკურსებში მონაწილეობისათვის მიღებული აქვს დიპლომები „მიზანმიმართული ლოგიკა“, „სპეციფიკური აზროვნება“ და სხვა

გამორჩეულად მნიშვნელოვანი იყო 2018 წელი ცოტნესათვის. მან წარმატებით გაიარა „კინგსის“ ქართული ენის ოლიმპიადის სამივე ტური.

გამარჯვებულ მოსწავლეთა დაჯილდოება ქ. თბილისში, ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში, „ნიუ-ვიუენში“ გაიმართა. დაჯილდოებაზე კინგსის ადმინისტრაციის მიერ განხილულ იქნა განხორციელებული ღონისძიებების შედეგები, მოეწყო მხიარული და შემეცნებითი აქტივობები. ცოტნე ეჯიბიას გადაეცა დიპლომი, სამახსოვრო საჩუქარი და ანაკლიის ბანაკის საგზური. უნდა აღინიშნოს რომ ცოტნეს წარმატებაში დიდია ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის ნონა ჩიჩუას წვლილი. პედაგოგი მათ მეხუთე კლასიდან ასწავლის. მასწავლებელი საგაკვეთილო მასალასთან ერთად დიდ ყურადღებას უთმობს გრამატიკული ნორმების და ლიტერატურის თეორიის საკითხების შესწავლას, მოსწავლეებში ლოგიკური აზროვნების უნარის განვითარებას.

ცოტნე ახალი სასწავლო წელს ახალი შემართებით ხვდება. გაზეთ „კოლხეთის“ რედაქცია ულოცავს მას ახალი სასწავლო წლის დაწყებას, უსურვებს მორიგ წარმატებებს და წარჩინებულ სწავლას.

მოამზადა მ. შამათავამ

პირველკურსელები

ჩვენი სტუმრები არიან ახალგაზრდები, რომლებმაც წარმატებით ჩააბარეს ერთიანი გამოცდები და ჩაირიცხნენ ქვეყნის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში, სადაც დაეუფლებიან მათთვის საინტერესო პროფესიას, იცხოვრებენ სტუდენტური ცხოვრებით, ქვეყნებს მოივლიან ჯიდით ჯიდმდე, აითვისებენ მეცნიერების საფუძვლებს, განიმტკიცებენ ცოდნას, შეიძენენ გამოცდილებას... თითოეულ მათგანს ჯარგად აქვს გაცნობიერებული, რომ სტუდენტობა საუკეთესო წლებია ადამიანის ცხოვრებაში. სილაღე, თავისუფლება, დამოუკიდებლობის პირველი საფეხურები, ახალი მეგობრები, სიახლეები, წარმატების მოპოვების უფრო დიდი სურვილი და რაც მთავარია, სწავლა შენი საყვარელი საქმისა, რომ აღარ ხარ მაყვები, რომ ცხოვრების იმ ეტაპზე ხარ, რომელიც უნდა განვითარდე და შენი გზა გაიკვლიო ცხოვრებაში, რაც არცთუ ისე მარტივია. ამიტომაც, ვინც სტუდენტის სტატუსს ატარებს, გათვითცნობიერებული უნდა ჰქონდეს ის პასუხისმგებლობა, რომელიც აკისრია- საკუთარი თავის წინაშე, რომ იყოს საჭირო პიროვნება და თავისი საქმის პროფესიონალი, მშობლების წინაშე, რომლებიც გამუდმებით, დაუღალავად შრომობენ ჩვენი მედნიერებისთვის, უნივერსიტეტისა და ლექტორების წინაშე, რომლებიც მზად არიან მუდამ გაგვიზიარონ თავიანთი ცოდნა და მოლოს საშობლოს წინაშე, მიიღო უმაღლესი განათლება, ხვალ კი უკვე პროფესიონალებად გამოვიდნენ საზოგადოებრივ ასპარეზზე და ჩაება ქვეყნის განვითარების თვრხულში.

ანი ყურაშვილმა წარჩინებით დაამთავრა სენაკის სკოლა „მარიოტა“. ჩაირიცხა შპს თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტში 100%-იანი დაფინანსებით ელექტრო და კომპიუტერული ინჟინერიის ფაკულტეტზე.

გიგა ვარდიამ წარჩინებით დაამთავრა სენაკის სკოლა „მარიოტა“. ჩაირიცხა თბილისის აგრარულ უნივერსიტეტში 100%-იანი დაფინანსებით ელექტრო და კომპიუტერული ინჟინერიის ფაკულტეტზე.

მარიამ გუნია-დაამთავრა სენაკის სკოლა-ლიცეუმი, ჩაირიცხა თბილისის კავკასიის უნივერსიტეტში სამართლის ფაკულტეტზე.

ელენე ხარბედია სკოლა „მარიოტას“ კურსდამთავრებულია. ჩაირიცხა შპს თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტში 100%-იანი დაფინანსებით მართვისა და საზოგადოებრივი მეცნიერებების ფაკულტეტზე



ალექსანდრე ჯდამაძემ დაამთავრა კერძო სკოლა ლიცეუმი, ჩაირიცხა 70 % -იანი დაფინასებით თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში სამკურნალო ფაკულტეტზე.

მეგი ცისკაძე სკოლა-ლიცეუმის კურსდამთავრებულია, ჩაირიცხა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიოფო უნივერსიტეტი, ფილოლოგიის ფაკულტეტზე

ეს იყო წინათ...

გასული საუკუნის მოსწავლეები ფორმით-გახამებული წინსაფრებით, თეთრი ბაფთებით, ყავისფერი კაბებით დადიოდნენ სკოლაში.

დღეს, საყოველთაო პრაქტიციზმის, ინტერნეტსივრცის და სიჩქარეების საუკუნეში ზოგიერთმა შეიძლება მიუღებლად ჩათვალოს ამ თემაზე საუბარი.

მაგრამ, იქნებ აჯობებდა თანამედროვე სტილის ფორმის ტანსაცმელი ემოსოს დღევანდელი სკოლის მოსწავლეს...

განცხადება

საქართველოს საარჩევნო კოდექსის მიხედვით „მუხლი 50, მედიის მიერ წინაასაარჩევნო კომპანიის გაშუქების ზოგადი ცვლილებების “ შესახებ საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებში, რომელიც გაიმართება 2018 წლის 28 ოქტომბერს, წინასაარჩევნო აგიტაციისა და პოლიტიკური (უფასო და ფასიანი) რეკლამისათვის გაზეთ „კოლხეთში” გამოიყო გვერდის მესამედი თითოეული საარჩევნო სუბიექტისათვის.

პრეზიდენტობის კანდიდატებს შეუძლიათ წინასაარჩევნო რეკლამა განათავსონ გაზეთის მორიგ ნომრებში.

გაზეთ „კოლხეთის” რედაქცია

„კრისტალი“ ახალ მისამართზე

13 სექტემბერს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრისტალის” სენაკის ფილიალმა(ფილიალის მმართველი სამსონ ხუბუტია) ახალმოსახლეობა იზეიმა. ფილიალი ჭავჭავაძის ქუჩის №88-ში მდებარეობს. სენაკის მოსახლეობას შეუძლია ისარგებლოს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრისტალის” მაღალი ხარისხის ფინანსური მომსახურებით, მიიღოს ბიზნეს, აგრო და სამომხმარებლო სესხები. ფუნქციონირებს სალარო მეურნეობა, მომხმარებლებს შეეძლებათ გადაიხადონ კომუნალური გადასახდელები, მიიღონ და გადააგზავნონ ფულადი გზავნილები ქვეყნის შიგნით და გარეთ ნებისმიერი მიმართულებით და გადაცვალონ ვალუტა საუკეთესო კურსით.